ნაჩვენებია და დასაბუთებულია ცნებებს “ნეონდუსტრიული განვითარება” და “ინოვაციური ეკონომიკა” შორის ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება და ნაწილობრივი ურთიერთშეთავსება და დასაბუთებულია, რომ ისინი გლობალიზაციის პირობებში წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ ძირითად მიმართულებებს.

განსაკუთრებული ყურადღება ნაშრომში ეძღვნება განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელურ ურთიერთკავშირების თანამედროვე შინაარსის თეორიულ კვლევას და სისტემატიზაციას. ნაჩვენებია, რომ ეს ცნებები წარმოადგენენ ქვეყნის ნეონდუსტრიული ინოვაციური განვითარების მთავარ უპირობო ატრიბუტებს.

## ნ. დავლაშერიძე

1. В статье рассматриваются основные теоретические разработки лауреатов Нобелевской премии по экономике за 2013 год **Роберта Джеймса Шиллера, Юджина Ф. Фамы, Ларса Питера Хансена**. Одним из важнейших достижений нобелевских лауреатов состоит в том, что они попытались объяснить изменение стоимости акций, активов с помощью экономических показателей деятельности предприятий или рынков в целом. Научные труды Роберта Шиллера, Юджина Фамы и Ларса Питера Хансена внесли фундаментальный теоретический и практический вклад в современную экономическую науку, в частности, в понимание финансовых рынков.

2. Работа посвящена комплексному изучению вопросов межрегиональной конкуренции и управления конкурентоспособностью региона в современных условиях. Раскрывается и анализируется специфика межрегиональной конкуренции, как относительно нового экономического явления, появившегося как результат процессов глобализации и регионализации (микрорегионализации), наблюдаемых в мировой экономике. Достижение конкурентоспособности региона следует рассматривать в качестве одной из основных целевых установок реализации региональной экономической политики государства.

#### **ლ. დათუნაშვილი**

1. სტატიაში გაშუქებულია ადრეული საუკუნეებიდან დღემდე საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოების, მისი პირველადი დამუშავებისა და მიღებული აბრეშუმის ნედლეულის დამმუშავებელი შინამრეწველობის რეალური მდგომარეობა, მისი ტექნიკური ბაზა და შრომის მეთოდები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში გარკვეული ზომით შეესაბამებოდა საზოგადოების განვითარების არსებულ დონეს. ყურადღება გამახვილებულია იმ პიროვნებების საქმიანობაზე, რომლებმაც ხელი შეუწვევეს როგორც აბრეშუმის პარკის წარმოების, ისე მისი დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების საქმეს საქართველოში.

სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია აბრეშუმის პარკის დამმუშავებელი სამრეწველო ობიექტების (ოზურგეთის, სამტრედიის, თელავისა და ხონის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკები, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი და თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება) საქმიანობა ათეული წლების განმავლობაში და მათი რეალური მდგომარეობა დღეს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტრადიციული და მეტად საჭირო დარგის – მეაბრეშუმეობის გაქრობის საშიშროების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, როგორც ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების, ისე იმ ბიზნესმენების გააქტიურება, ვისაც ხელეწიფებათ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთება.

2. სტატიაში გაშუქებულია საქართველოში მეხილეობის განვითარების ზოგიერთი ისტორიული ასპექტი, ყურადღება გამახვილებულია მეხილეობის შესახებ უცხო მოგზაურთა მიერ გამოთქმულ დადებით შთაბეჭდილებებზე (შარდენი, ჟუკოვსკი).

შესწავლილია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში მეხილეობის განვითარებისათვის იმ პიროვნებების მიერ ჩატარებული საქმიანობა, რაც ეხებოდა როგორც ხეხილის მოვლას, ასევე ადგილობრივი და ევროპიდან შემოტანილი ხილის ნერგებით მოსახლეობის მომარაგებას. ამასთან XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში ფუნქციონირებად იმ დაწესებულებების დამსახურებაზეა გამახვილებული ყურადღება, რომლებიც ემსახურებოდნენ სამრეწველო მეხილეობის განვითარების საქმეს.

სტატიაში გაანალიზებულია როგორც მთლიანად ხეხილის, ისე მისი ცალკეული სახეობის: თესლოვანი (ვაშლი, მსხალი); კურკოვანი (ატამი, ქლიავი, ბალი, ტყემალი) და კაკლოვანი (კაკალი, თხილი) ხილის ფართობის, მოსავლისა და მოსავლიანობის შემცირების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები. ამასთან სტატიაში დეტალურად არის მითითებული გზები და დასახულია ის დონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეხილეობის განვითარებას პერსპექტივაში.

#### **ლ. დვალისხვილი**

1. სასურსათო პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფ

ზრდასთან სასურსათო რესურსების მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოფიტვა, გაუდაბნობა, ნიადაგების დეგრადაცია, ტყეების არასწორი გამოხშირვა და ოკანების და ზღვების რესურსების მტაცებლური ხარჯვა აღრმავებს სასურსათო პრობლემას.

მის გადასაწყვეტად კაცობრიობამ უნდა შეიმუშავოს ღონისძიებათა კომპლექსი პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისთვის.

2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას განაპირობებს როგორც ტექნოგენური, ასევე ბუნებრივი დაბინძურების წყაროების ფუნქციონირება.

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად ატუჭყიანებს ატმოსფერულ ჰაერს, რაც თავის მხრივ უარყოფითად უბრუნდება თვით ადამიანს.

XX საუკუნეში ეკოლოგიურმა აზროვნებამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან გარემოს დაბინძურების რეგულირება.

ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

ნებისმიერმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გაითავისოს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაბინძურება ყველასათვის საზიანო იქნება.

### **ც. თეთრაული**

1. ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, მისი არსი და მნიშვნელობა. გაანალიზებულია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმები, მისი გატარების გზები და მეთოდები.

2. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინფლაციის განვითარების კანონზომიერებანი, გაანალიზებულია ინფლაციით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური შედეგები და მისი დარეგულირების მექანიზმები.

### **ე. კაკულია**

1. ნაშრომში, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, ბიზნესგარემო განხილულია როგორც ერთიანი სისტემა. ბიზნესგარემო წარმოდგენილია ოთხი – შიდა, ადგილობრივი, ეროვნული, საერთაშორისო დონეების და მათზე მომქმედი ფაქტორების ერთიანობა. ბოლო წლების დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებით შეფასებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილი საქართველოს ეკონომიკაში.

### **მ. კვარაცხელია**

1. სტატიაში განხილულია იაპონური მენეჯმენტის არსი და მისი დანერგვის თეორიული პრობლემები. აქვე გაანალიზებულია „სამი სვეტის“-ს სისტემის მნიშვნელობა.

2. სტატიაში გამოკვლეულია ემიგრაცია და ემიგრაციის მიზეზები საქართველოში. ბოლო წლების განმავლობაში ყურადღებას ამახვილებს შრომითი მიგრაციის თავისებურებებზე საქართველოში, გაანალიზებულია მიგრაციის მახასიათებლები. გარდა ამისა იგი აანალიზებს მახასიათებლებს, რომელმაც მიგრაციის გაფართოება გამოიწვია საქართველოში. ნაშრომში განსაკუთრებით შესწავლილია ემიგრაციის ძირითადი მიზეზი.

3. მიგრაცია არ არის ახალი და უცნობი მოვლენა მსოფლიოში. ეს მიმდინარეობს უძველესი დროიდან მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მაგრამ XX-XXI საუკუნის დასაწყისში დიდი სიჩქარით განვითარდა მსოფლიოში. ეს გამოწვეული იყო მსოფლიოს მოსახლეობის ზრდით. მეორე მხრივ, ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავებით განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

სიღარიბის დაძლევა, დასაქმებისა და სოციალური დაცვა მოსახლეობის ყველაზე დიდი

პრობლემა ჩვენი დაკარგული სოციალური, პოლიტიკური სისტემის გაველენამ მოახდინა დიდი გავლენა საქართველოში მიგრაციის პროცესზე.

დღეს ემიგრაციის დონე ერთერთი მაღალია მსოფლიოში. ასეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც არის საქართველო, მილიონზე მეტი მიგრანტი, ძალიან მაღალი და შემაშფოთებელი ინდექსია, რომელსაც სჭირდება რადიკალური ზომების მიღება.

#### **აღ. კურატაშვილი**

1. В научном труде предлагается и обосновывается необходимость и механизмы проведения Чемпионата мира по научному творчеству в области общественных наук.

2. В научном труде рассматривается созданная автором Теория преимуществ Социально нацеленной политической системы перед Капитализмом и обосновывается принципиальная значимость данной теории.

3. В научном труде рассматривается проблема творческого развития науки и дается критический анализ имеющихся проблем в сфере общественных наук.

Притом, творческое развитие науки рассматривается как необходимая интеллектуальная основа социально-экономического прогресса.

#### **თ. ლახარაშვილი**

1. სტატიაში განხილულია საინვესტიციო გარემოს ფორმირების დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. შესწავლილია მსოფლიო ბანკის კვლევები ბიზნესის კუთხით და განსაზღვრულია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესების გზები.

2. ნაშრომში განხილულია ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. აგრეთვე გაანალიზებულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი თავისებურებანი საქართველოში და დასახულია მისი სრულყოფის გზები.

#### **მ. მელაშვილი**

1. სტატიაში წარმოდგენილია ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები და თეორიები. განხილულია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების შესახებ არსებული ორი ძირითადი მიდგომა: თავისუფალი ვაჭრობა და პროტექციონიზმი. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობაში არსებული ვითარება და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები.

#### **ი. ნათელაური**

1. გაანალიზებულია თანამედროვე საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის დროითი მწკრივები 14 წლიანი პერიოდისთვის (2000–2013 წლები). შემოწმებულია მათი ცენტრირება პირველი რიგის საწყისი მომენტის ირგვლივ. დადგენილია რომ ექსპორტისა და იმპორტის დროითი მწკრივების გაყოფა ოთხ ტოლ ნაწილად, მეორე რიგის ცენტრალური მომენტით ვერ ხერხდება. შეფასებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების პროექციის შესაძლებლობები მოკლევადიან პერსპექტივაში.

თანამედროვე საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების- ექსპორტისა და იმპორტის დროითი მწკრივები შემოწმებულია განაწილების ნორმალურობაზე, ორი კრიტერიუმით: 1) ასიმეტრიისა (A-მესამე რიგის ცენტრალური მომენტის) და ექსცესის (E-მეოთხე რიგის ცენტრალური მომენტის (კურტოზისის, ცენტრის მიმართ სიმჭიდროვის)) კოეფიციენტების შედარებით მათსავე რეპრეზენტატიულობის შეცდომებთან (მA და მE – სთან) და 2) კოლმოგოროვის კრიტერიუმით. დადგენილია, რომ ორივე საანალიზო მაჩვენებლისთვის განაწილების ნორმალურობის პირობა სრულდება.

გამოკვლეულია საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურისა და გეოგრაფიის ოპტიმიზაციის გზები და შესაძლებლობები საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ

გეოგრაფიის დივერსიფიკაცია უკვე მიღწეულია, სასაქონლო დივერსიფიკაციის პროცესი კი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

2. გაანალიზებულია სტატისტიკაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ზოგადი ტენდენციები, სასაქონლო სტრუქტურა და გეოგრაფია, 2013 წლის რეალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გამახვილებულია ყურადღება საქართველოს თანამშრომლობაზე ქვეყნების ჯგუფებთან, განსაკუთრებით ევროკავშირთან. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეფასებულია ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბების, განვითარებისა და გაღრმავების პერსპექტივა. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის დივერსიფიკაციის საკითხს.

3. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეფასებულია ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბების, განვითარებისა და გაღრმავების პერსპექტივა, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის დივერსიფიკაციის საკითხს.

### **ზ. ნოზაძე**

1. სტატისტიკაში განხილულია საქართველოში ბუნების დაცვის საფინანსო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმი რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

2. ნაშრომში გაანალიზებულია ეკოლოგიური მდგომარეობა საქართველოში. მოცემულია კონკრეტული წინადადებები, რეკომენდაციები და კონცეფციები ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ბუნებათსარგებლობის ეფექტიანობის ასამაღლებლად და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

### **ზ. რევიშვილი**

1. ფართოდაა განალიზებული ევროკავშირის ძველ და ახალ წევრ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გაყიდვების რეგულაციები. ნახვენებია, რომ ახალ წევრ ქვეყნებში უცხოელ მოქალაქეებსა და უცხოურ იურიდიულ პირებზე ვრცელდება მნიშვნელოვანი პირდაპირი და ირიბი შეზღუდვები, ასევე ფართოდაა გაშუქებული რეგულაციების თავისებურებანი ევროკავშირის რიგ ძველ ქვეყნებში. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოცემულია მოსაზრებები აღნიშნული რეგულაციების შემოღების საკითხებზე.

2. სტატისტიკაში გაშუქებულია საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდში სოფლის ქალაქისაგან სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის პრობლემის არსი, მიზეზები და მათი დაძლევის გზები. გაშუქებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის რეფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპები და მათი შედეგები; გაანალიზებულია სასოფლო დასახლებული პუნქტების ტიპების და მათში მოსახლეობის ცვლილებებთან კანონზომიერებანი, მთლიანად სოფლის განვითარების ტენდენცია. განვითარებულია მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რეფორმირების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, მცირე და საშუალო სასოფლო დასახლებების მდგრად განვითარებას, სოფლის ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობის დაძლევის და „ქალაქი-სოფელი“ ერთიანი, კომპლექსური განსახლების სისტემის ფორმირებას.

### **რ. სარჩიშვილი**

1. დახასიათებულია ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულების თავისებურება აზრობრივ მოდელირებაში, სადაც ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევა

სპეციალიზებული ენის შექმნის პირობებსაც ქმნის.

დასმულია წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა, რომლის ახლებური ინტერპრეტაცია ემყარება საწარმოო რესურსების ორადი შეფასებიდან პროდუქციის შემოსავლის მაქსიმუმის მიღებას.

აზრობრივი მოდელირება, როგორც მეთოდი განხილულია დინამიკასა და მკვლევარის შემოქმედებაში.

2. მოცემულია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შეხედულება ტერმინების ფორმირების მეთოდოლოგიაზე.

დახასიათებულია ზოგიერთი ისეთი ეკონომიკური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

3. დახასიათებულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტერმინი და მოცემულია მისი განმარტება.

მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობის შესაბამისობაში განხილულია ბიბლიის ეკონომიკური აზრი.

4. განხილულია საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა და ექსპორტის იმპორტთან დამოკიდებულება.

დახასიათებულია გრძელვადიანი პროგნოზირების ეფექტიანობა საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეკონომიკაში (რაც წარმოადგენს ოპერაციითა გამოკვლევის ახალ გამოყენებას საგარეო ვაჭრობაში).

5. წარმოდგენილია საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის ურთიერთკავშირის საფუძველზე გამოყვანილი რეკურენტული დამოკიდებულება, რომელიც გამოყენებულია დინამიკური მწკრივის სრული სახით ასაგებად პროგნოზირებისათვის ეკონომიკაში, სადაც ჩართულია წარსულისა და აწმყოს მომავალთან შეჯერების პირობა.

მინიშნებული მომავლისკენ სხვა გეზის აღებით ინტენსიური განვითარების პროცესების და ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიზმის დახასიათებლად, შერჩეულია საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის კომბინირებული გამოყენების სქემა. იგი ეყრდნობა წარსულის მიხედვით მომზადებულ მონაცემთა მოსწორებას, ექსპერტის მიერ საწყის მონაცემთა მნიშვნელობების გააქტიურებას და შეჯერებას მომავლის განვითარების მინიშნებულ ვარიანტთან, სადაც მონაწილეობს საშუალო პროგნოზის ცდომილების შეფასება.

6. განხილულია ინფლაციის ნორმალიზების სპეციფიკური პრობლემები. რეალური ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური სტრუქტურის ზღვრული ეფექტიანობისათვის აღნიშნულია მეცნიერებისა და მასთან დაკავშირებული დარგების სტიმულირების აუცილებლობა.

7. მოცემულია პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა. დახასიათებულია მოსახლეობის საგანმანათლებლო მოძრაობა და მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მაჩვენებლები.

მოყვანილია გენიოსის დამახასიათებელი ნიშნების სტატისტიკა და ჩატარებულია დაკვირვება გენიოსური აზროვნების ეფექტიანობაზე მეცნიერებაში.

#### თ. ქავთარაძე

1. ნაშრომში შესწავლილია მეცხვარეობის ინფრასტრუქტურაში შემავალი დარგებისა და ორგანიზაციების ერთობლიობის მნიშვნელობა; დადგენილია, რომ მეცხვარეობის ინფრასტრუქტურაში ქვეყანას ცხვრის სადგომთმშენებლობის ტიპური, ადგილობრივ პირობებს მორგებული სადგომების პროექტი არ გააჩნია. წამოყენებულია წინადადება, მეცხვარეობის ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების მიზნით სადგომების

ინფრასტრუქტურაში ცხვრის საგვიანო დოლის დანერგვის აუცილებლობაზე.

2. ნაშრომში განხილულია აგრარული რეფორმის მიმდინარეობა. გამოკვლეულია რეფორმის მიმდინარეობის არაეფექტურობის მიზეზები; ყურადღებაა გამახვილებული ჯავახეთში სტაციონალური მეცხვარეობის განვითარების აუცილებლობაზე. წამოყენებულია წინადადება ჯავახეთში განძისა და ოკამის სტაციონალური მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსების ფუნქციონირების აუცილებლობაზე. დადგენილია მეცხვარეობის აღნიშნულ სამრეწველო კომპლექსებში ცხვრის პროდუქტიულობის, პროდუქციის წარმოების და საკვებზე მოთხოვნების მაჩვენებლები.

3. ნაშრომში დადგენილია რესპუბლიკის საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ოდენობა; შესწავლილია და გამოვლენილი ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ფუნქციონირების ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებანი. მოცემულია საკვები კულტურების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები. პირველადაა წამოყენებული წინადადება ჩრდილო კავკასიელ მეცხვარეებთან ერთად, ერთობლივი ფერმერული მეცხვარეობის საწარმოების ფუნქციონირების საკითხები.

4. ნაშრომში შესწავლილია აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში. დადგენილია, რომ მიწის საკუთრებამ საქართველოში ვერ მიიღო ადეკვატური საბაზრო შინაარსი და ის ეკონომიკურად არ რეალიზდება. წამოყენებულია მოსაზრება, რომ მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენების სტიმულირება მისი გადანაწილება ეფექტიანად მომუშავე სუბიექტებს შორის, სახელმწიფოებრივ დარეგულირებას საჭიროებს.

5. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს მეცხვარეობის განვითარების ძირითადი პრობლემები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეცხვარეობის განვითარება დაკავშირებულია მრავალი პრობლემის კომპლექსურ გადაწყვეტასთან. დადგენილია, რომ ამ ღონისძიებათა წარმატებით გატარების შედეგად საქართველოში 2 და მეტი მილიონი ცხვრის ყოლისა და მაღალი ღირსების 7-8 ათასი ტონა მატყლის წარმოებაა შესაძლებელი. გამოკვლეულია, რომ რესპუბლიკაში წარმოებული მატყელი უხარისხობის გამო არაა გადაქცეული სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულად. იგი არ არის მოთხოვნილი და მისი საბაზრო ფასი ქვეყანაში ძალზე დაბალია. ნაშრომში პირველადაა წამოყენებული წინადადება, რომ სამრეწველო მატყლის წარმოების თვალსაზრისით ქვეყანაში უნდა დაინერგოს მატყლის დამზადების ახალი საერთაშორისო სტანდარტი.

## **6. ქისტაური**

1. ნაშრომში განხილულია საგადამხდელო ბალანსი, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური დოკუმენტი, რომელიც იძლევა წარმოდგენას ქვეყნებს შორის ფასეულობათა ნაკადების მოძრაობის შესახებ და აჩვენებს თუ კონკრეტული ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის რომელ საფეხურზე იმყოფება. ასევე განხილულია მისი ფორმირების და მნიშვნელობის საკითხები. აქვე გაანალიზებულია ბოლო წლებში საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა.

## **ქ. ქველადე**

1. სტატიაში განხილულია ტურიზმის ინოვაციური პოლიტიკის შემადგენელი ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ტურისტული ინოვაციური პოტენციალის არსი და როლი, მისი განვითარების ფაქტორები, ქვეყანაში არსებული ტურისტული რესურსების პოტენციალის სახეები და ის მიმართულებები, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს ტურიზმში ინოვაციური პოლიტიკის განვითარებას საქართველოში.

2. სტატიაში განხილულია მწვანე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობა საქართველოში

ეროვნული მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში, ასევე მწვანე ეკონომიკის განვითარების ზოგადი ასპექტები და გამოკვეთილია მწვანე ბიზნესისათვის მაღალი პოტენციალის მქონე ის სექტორები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში გარემოსა და ბიზნეს ეთიკის დაცვას. ნაშრომში ტურიზმი მიხნეულია საქართველოში მწვანე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ სექტორად და განხილულია ტურიზმის ის მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

### **თ. ჩხეიძე**

1. სტატიაში საქართველოს ტყეები განხილულია, როგორც საუკეთესო ნიადაგთდაცვითი, წყლის რეჟიმის მარეგულირებელი, ჰაერგამწმენდი, ბანლეოლოგიური თერაპიის ობიექტი, რეკრეაციულ-ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი საფუძველი და არა როგორც სამერქნე რესურსი, რადგან საქართველოს ტყეები განვითარებულია უმთავრესად მთიანი რელიეფის ციცაბო ფერდობებზე და მათი ფუნქციაა ნიადაგის დაცვა.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ტყის ფონდი არ უნდა ექვემდებარებოდეს პრივატიზებას. იგი უნდა იყოს სახელმწიფო დაქვემდებარებაში, ასევე უნდა გაძლიერდეს კონტროლი უნებართვო ჭრებზე, როგორც ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზზე.

2. სტატიაში განხილულია აქვაკულტურის, როგორც მეწარმული საქმიანობის ერთ ერთი დარგის მდგომარეობა. ნაჩვენებია, რომ ეს სფერო მიუხედავად მისი მნიშვნელობისა მოსახლეობის კვებით რაციონში – ცხოველური ცილებით უზრუნველყოფაში ჯეროვნად ვერ განვითარდა საქართველოში.

აქვაკულტურის განვითარების შეფერხება განაპირობა წყლის რესურსების ეკოლოგიურმა დაბინძურებამ, რამაც გამოიწვია არამარტო მეთევზეობის განვითარების შეფერხება არამედ თევზეულის საგრძნობი შემცირება მთელ მსოფლიოში. სტატისტიკის მიხედვით XXI საუკუნის დასაწყისში დედამიწის ზღვებსა და ოკეანეებში აღინიშნა თევზეულის ფიზიკური შემცირება 25%-ით.

სტატიაში აღნიშნულია საქართველოში აქვაკულტურის ერთერთი მეწარმული საქმიანობის „მეკალმაეობის“ განვითარების შესახებ და გამოთქმულია იმედი, რომ მეკალმაეობის განვითარება შესძლებს საქართველოს მოსახლეობა უზრუნველყოს ნედლი (ცოცხალი) თევზეულის საკმაო რაოდენობით.

3. სტატიაში განხილულია დედამიწაზე გლობალური დათბობის შესაძლებლობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

არსებული მონაცემების მიხედვით „სათბური გაზების“ კონცენტრაციის ზრდას მოყვება დედამიწაზე გლობალური დათბობა. კლიმატის დათბობის ეფექტი სახვადასხვა იქნება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოში აცივდება. ჰაერის ტემპერატურა დაიწვეს 3<sup>0</sup>C–ით, რის გამოც საფრთხე შეექმნებათ სუბტროპიკულ მცენარეებს. შავი ზღვის წყალი გაცივდება, რაც უარყოფითათ აისახება მეთევზეობაზე.

აღმოსავლეთ საქართველოში დათბება. ტემპერატურა მოიმატებს 2<sup>0</sup>C-ით, რაც ისე როგორც დასავლეთში გამოიწვევს სამიწათმოქმედო ზონების შევლას. საფრთხე შეექმნება ყველა იმ სასოფლო სამეურნეო კულტურას, რომლის ვეგეტაციის პერიოდი არ დაემთხვევა ზონის კლიმატურ პირობებს. საფრთხე დაემუქრება თავთავიან კულტურებს და ვაზის ადგილობრივ ჯიშებსაც.

მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ კლიმატური დათბობის წინააღმდეგ უნდა იბრძოდონ ერთობლივი ძალით და სტატიაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მაქსიმალურად შეამცირონ მავნე გაზების გამომფრქვევი კერები და დაინერგოს ალტერნატიული ტექნოლოგიები.

### **მ. ცუცქირიძე**

1. სტატიაში განხილულია ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე

საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესში. გამოკვლეულია ძირითადი ინოვაციური ფაქტორები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ევროპის ეკონომიკურ სისტემათა ინტეგრაციის დროს, ასევე წარმოადგენენ ბიზნესის მიზნების მისაღწევს, საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოების მთავარ საფუძველს.

2. ნაშრომში განხილულია ბიზნესის შემოსავლების გადიდებაზე ინოვაციური ფაქტორების გავლენა საქართველოში, თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების შედეგად ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შრომის ინოვაციური მეთოდების, მართვის ხარისხისა და საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებათა ფირმის საქმიანობაში გამოყენების საფუძველები.

## **მ. სუსკევაძე**

1. თანამედროვე პირობებში უძრავ ქონებაზე ფასწარმოქმნა არ წარმოადგენს მექანიკურ პროცესს. მას განაპირობებს სხვადასხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედება, რომელთაგან ბოლო პერიოდებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ეკოლოგიურმა ფაქტორებმა. სწორედ საქართველოში უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის პროცესში ამგვარი ფაქტორების გათვალისწინების პრობლემურ საკითხებს ეძღვნება სტატია. მასში გაშუქებულია უძრავი ქონების ეკონომიკურ შეფასებაში გარემოს დაცვითი ფაქტორების ჩართულობის შესახებ ისტორიული წინამძღვრები და მისი მნიშვნელობა ამ პროცესში. განხილულია ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ უძრავი ქონების ღირებულებაზე საქართველოში, სადაც ძალიან უმნიშვნელოა ეკოლოგიური ფაქტორების როლი. შემოთავაზებულია ზოგიერთი მეთოდიკური მიდგომა საქართველოში უძრავი ქონების ღირებულებაში ეკოლოგიური ფაქტორების ადეკვატური გათვალისწინების მიზნით.

2. გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვია არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროებში. გამოიკვეთა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები და შედეგები, რომელთა ანალიზსა და შეფასებას ეძღვნება წინამდებარე სტატია. კერძოდ, მასში გაშუქებულია საკუთრების ფორმის ცვლილებისა და კონკურენციული მექანიზმის ამოქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებები ეკოლოგიის სფეროში და შეფასებულია მისი ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები. გაანალიზებულია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში ინსტიტუციური გარდაქმნებისა და ფისკალური ბერკეტების როლი და მნიშვნელობა.

## **რ. ჯავახიშვილი**

1. ნაშრომში გაშუქებულია საქონლის კონკურენტუნარიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, შემოთავაზებულია მისი გაანგარიშების მეთოდიკა. მასში გაანალიზებულია საქონლის კონკურენტუნარიანობის დონის განმსაზღვრელი ტექნიკური, ნორმატიული, ერგონომიკული, ესთეტიკური და ეკონომიკური პარამეტრები. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ისეთი მაჩვენებლებისა და ფაქტორების კვლევას, როგორცაა: საქონლის დონე, მისი ხარისხი, საქონლის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საშუალებები, კონკრეტულ ბაზარზე მისი ადაპტაცია, საქონლის შეფუთვა, მარკირება, ბაზარზე მისი მიწოდება, გაყიდვის პროგრესული მეთოდების გამოყენება, საფასო პოლიტიკა, რეკლამა და სტიმულირება, საქონელის გაყიდვისწინა და გაყიდვისშემდგომი სერვისი, ექსპლოატაციასა და რემონტზე გაწეული დანახარჯები და სხვ. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის თანამედროვე მდგომარეობა და განსაზღვრულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე მისი დონის ამაღლების ძირითადი ფაქტორები და მიმართულებები.

2. ნაშრომში გაშუქებულია საექსპორტი პოტენციალის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები. საექსპორტო პოტენციალი გაანალიზებულია როგორც ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც გააჩნია თავისი სუბიექტური და ობიექტური შინაარსი. ნაშრომში კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ პირველი მათგანი უფრო მეტად ვლინდება საწარმოო პოტენციალში, ხოლო მეორე – მის მართვის პოტენციალში.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის დინამიკის მაჩვენებლები, მის მოცულობასა და სტრუქტურაში, აგრეთვე ექსპორტის დივერსიფიკაციასა და გეოგრაფიაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები. მასში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და მისი გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენას, რომელთაგან აღსანიშნავია: საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა-ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და მისი გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების სწრაფი აღორძინება-განვითარება; ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების საფუძველზე ქვეყნის მდიდარი საკურორტო-რეკრეაციული რესურსების სრულყოფილი გამოყენება; საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების გზით ქვეყნის საინვესტიციო რესურსების ზრდა და ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში მათი პრიორიტეტული გამოყენება; ქვეყნის დაკრედიტების სისტემის სრულყოფა – საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტის დაძლევა, საპროცენტო განაკვეთების შემცირება, შეღავათიანი კრედიტების ზრდა და მათი ხელმისაწვდომობის სისტემის სრულყოფა; ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება, მისი ღირსებისა და ეკოლოგიური სისუფთავის დაცვა და პროპაგანდა; ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა და ამ საქმეში სათანადო ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება.

3. ეკონომიკური ინტეგრაცია ქვეყნების ურთიერთდაახლოების პროცესია, რომელიც გულისხმობს მათ შორის მსგავსი ბიზნეს-გარემოს შექმნას, ცხოვრების დონისა და ხარისხის გასოთანაბრებას. სტატიაში გაანალიზებულია გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური ინტეგრაციის ადგილი და როლი ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მისი ძირითადი ფორმები, დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებები.

სადღეისოდ ეკონომიკურ გაერთიანებათა შორის ყველაზე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანია ევროკავშირი, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უდიდესი პოტენციალი. სტატიაში გამოკვლეულია მისი შექმნის ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები, განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით როგორც სივრცობრივი, ისე სიღრმისეული გაფართოების ძირითადი ნიშნები და თავისებურებები, რის შედეგადაც იგი ჩამოყალიბდა როგორც მსოფლიოს ყველაზე უმსხვილესი და მაღალგანვითარებული ბაზარი. მისი ევოლუციის ცალკეულ ეტაპებზე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად შემოღებულ იქნა ერთიანი საანგარიშსწორებო ვალუტა – ევრო, შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც აღმოფხვრილია საბაჟო და სავაჭრო ბარიერები, უზრუნველყოფილია გაერთიანების ფარგლებში კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება და სადაც ხორციელდება ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის აქტიური თანამშრომლობა ეკონომიკის, სავალუტო-საფინანსო, მიკრო და მაკროეკონომიკის, ჰუმანიტარულ, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, სამართლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკოლოგიის, რეგიონული და სოციალური განვითარების სფეროებში.

## 2) უცხოეთში

### ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამომცემლობის	გვერდების
---	-----------------	---------------------	---------------	-----------

			ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
1	ვლ. პაპავა, (თანაავტორი ი. ანანიაშვილი)	Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium (ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა)	ნიუ იორკი, ნოვა საიანს პაბლიშერს	106
ანოტაციები				
<p>1. მონოგრაფიაში შემოთავაზებულია ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეა და მისი შესაბამისი მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია კეინზიანურ პრინციპებს, ერთობლივი მიწოდების ფუნქცია კი ლაფერის პოსტულატებს ეფუძნება. აღნიშნული მოდელის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მარტო ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას, თავისთავად, არ შეუძლია სრული დასაქმების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება ან ბიუჯეტში მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მობილიზება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამადლებას და სრული დასაქმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს, დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს. მონოგრაფიის ქართული ვერსია გამოიცა 2009 წელს.</p>				

- ბ) ბროშურები
- გ) სახელმძღვანელოები
- დ) კრებულები

ე) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R. Abesadze	high technologies – the most important factor of economic development	წიგნში: “GOSPODAR KA W SIECI-ACH RELAC-II”	Lublin, “Wy dawnictwo KUL”, 2014. საერთაშორისო კონფერენცია	5
2	რ. აბესაძე ვ. ბურდული	ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარება გლობალიზაციის პირობებში (ინგლისურ და რუსულ ენებზე). Regional Problems of Accelerating Economic Development Rates in the Context of Globalization (a Georgian Case-Study).	Ж. Кавказ & Глобализация Том 7. Выпуск 3-4	CA&CC Press. ШВЕЦИЯ.	16
3	Абесадзе Р, Бурдули В.	Неоиндустриальное развитие, инновационная экономика и сетевые взаимосвязи в условиях глобализации. Материалы XV-ой Международной конференции «Сеть как пространство социального, экономического и политического сотрудничества в Центральной и Восточной Европе».	წიგნში: “GOSPODAR KA W SIECI-ACH RELAC-II”	Lublin, “Wy dawnictwo KUL”, 2014. საერთაშორისო კონფერენცია	16
4	რ. ასათიანი	ЭКОНОМИКА ГРУЗИИ СКВОЗЬ ПРИЗМУ НОВОГО МИРОВОГО ПОРЯДКА. ж. „Кавказ и глобализация“.	Том 6.	სტამბოლი (თურქეთი)	
5	ვ. ბერუღავა  Бурдули В.,	ნდობაზე აგებული ურთიერთობების გაღწევა ფირმის საქმიანობაზე: გარდამავალი ეკონომიკების მაგალითზე. EBES-ის 13-ე კონფერენცია, ეკონომიკისა და ბიზნესის ევრაზიული საზოგადოება.  Продовольственная		Житомир:	

6	Абесаძე Р.	безопасность как объект государственного регулирования и бизнес-координации. – В сб. Органичне виробництво I продовольча безпека.		изд-во «Полесье»	8
7	Бурдули В., Абесаძე Р.	Неоиндустриальное развитие и инновационная экономика в условиях глобализации – В сб. Економика і менеджмент – 2013: Перспективи інтеграції та інноваційного розвитку. Збірник наукових праць Міжнародної науково-практичної конференції (Дніпропетровськ: 24-25 квітня 2014 р.)		Дніпропетровськ: Видавець Біла К. О.	9
8	მ. კვარაცხელია	Региональные проблемы миграционных процессов в Грузии. (Daugavpils University Daugavpils, Latvia)9th International Scientific Conference “Social Sciences for Regional Development 2013”.		დაუბავპილსი (ლატვია)	8
9	აღ. კურატაშვილი	ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ЭФФЕКТИВНОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ В УСЛОВИЯХ ИСТИННО ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ОБЩЕСТВА. Материалы III Международной научно-практической Интернет-конференции. Макеевский экономико-гуманитарный институт.		г. Макеевка, Украина	8
10	აღ. კურატაშვილი	THEORY OF BALANCE OF RIGHTS AND RESPONSIBILITY OF OFFICIALS – ESSENTIAL SCIENTIFIC BASIS OF HUMAN RIGHTS PROTECTION. SCIENTIFIC BULLETIN ACADEMY OF MUNICIPAL ADMINISTRATION. COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS. SERIES “MANAGEMENT”, ISSUE 1/2014. KYIV: ACADEMY OF MUNICIPAL ADMINISTRATION. ФИЛОСОФИЯ СОЦИАЛЬНОЙ		KYIV, UKRAINE  Киев,	8

11	აღ. კურატაშვილი	<p>ЦЕЛИ – МЕТОДОЛОГИЧЕСКАЯ ОСНОВА ОРИЕНТАЦИИ ПРАВОВОЙ МОДЕРНИЗАЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ В ИНТЕРЕСАХ НАРОДА.</p> <p>Модернизационные процессы государственного и муниципального управления. МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ. ЧАСТЬ ПЕРВАЯ. Академия муниципального управления. Киев: Издательско-полиграфический центр Академии муниципального управления, в 2-х частях.</p>		Украина	3
12	აღ. კურატაშვილი	<p>ФИЛОСОФСКО-ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО ПРОГРЕССА И РОЛЬ СЕТЕВОЙ КООРДИНАЦИИ В ИХ РЕАЛИЗАЦИИ. Материалы XV Международной научной конференции: «Сеть как пространство социального, экономического и политического сотрудничества в Центральной и Восточной Европе», Сборник докладов.</p> <p>Люблинский католический университет Иоанна Павла II Люблин: Издательство KUL.</p>		Наленчов (Польша)	7
13	აღ. კურატაშვილი	<p>ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВО И ГОСУДАРСТВЕННОЕ УПРАВЛЕНИЕ В УСЛОВИЯХ ИСТИННО ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА.</p> <p>Материалы XIII Международной научно-практической конференции: «РАЗВИТИЕ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВА КАК ФАКТОР РОСТА НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ».</p> <p>НАЦІОНАЛЬНИЙ ТЕХНІЧНИЙ УНІВЕРСИТЕТ УКРАЇНИ “КІЇВСЬКИЙ ПОЛІТЕХНІЧНИЙ ІНСТИТУТ”.</p>		(Киев, Украина). Киев: Издательство «Политехника»	2
14	აღ. კურატაშვილი	<p>ПРОБЛЕМА ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ: ТЕОРИЯ СБАЛАНСИРОВАННОСТИ ПРАВ И ОТВЕТСТВЕННОСТИ ДОЛЖНОСТНЫХ ЛИЦ И</p>		Киев, Украина	6

15	ვლ. პაპავა	<p>НЕОБХОДИМОСТЬ ПРИВЛЕЧЕНИЯ К ОТВЕТСТВЕННОСТИ СУДЬЕЙ ЗА ИХ ПРОТИВОЗАКОННЫЕ ДЕЯНИЯ. НАУЧНЫЕ ИЗЫСКАНИЯ В ГОСУДАРСТВЕННОМ И МУНИЦИПАЛЬНОМ УПРАВЛЕНИИ. АКАДЕМИЯ МУНИЦИПАЛЬНОГО УПРАВЛЕНИЯ. СБОРНИК НАУЧНЫХ ТРУДОВ. ВЫПУСК 2/2014.</p> <p>The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example); მკვეთრი ზრდის ეფექტი და ზრდის მაჩვენებლების რეგიონული შედარება (აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაგალითზე) იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში “Problems of Economic Transition” (გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები)</p>	ტომი 57, №3	აშშ	11
16	ვლ. პაპავა	<p>О «некроэкономическом постиндустриализме» на постсоветском пространстве (на примере Грузии и России)” (“პოსტსაბჭოთა სივრცეში “ნეკროეკონომიკური პოსტინდუსტრიალიზმის” შესახებ (საქართველოსა და რუსეთის მაგალითზე)”. ჟურნალში – “Общество и экономика” (“საზოგადოება და ეკონომიკა”).</p>	№6	რუსეთში	12
17	ვლ. პაპავა	<p>“Georgia’s Economy. The Search for a Development Model” (“საქართველოს ეკონომიკა. განვითარების მოდელის ძიებაში”). იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში “Problems of Economic Transition”</p>	ტომი 57, №3	აშშ	11

18	ვლ. პაპავა (თანაავტ.)	<p>(“გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები”).</p> <p>“Regional Railways in the Central Caucasus and Georgia’s Economic Interests”.</p> <p>“Железные дороги регионального значения на Центральном Кавказе и экономические интересы Грузии”</p> <p>(“რეგიონული მნიშვნელობის რკინიგზის ხაზები ცენტრალურ კავკასიაში და საქართველოს ეკონომიკური ინტერესები”).</p> <p>(ინგლისურ და რუსულ ენებზე).</p> <p>„Caucasus and Globalization”,</p> <p>“Кавказ и Глобализация” (“კავკასია და გლობალიზაცია”).</p>	ტ. 8 №1-2	შვედეთში	11
19	ვლ. პაპავა	<p>“Old or New Cold War?”</p> <p>(“ძველი თუ ახალი ცივი ომი?”). ელექტრონულ გამოცემაში</p> <p>“CICERO Foundation Great Debate Paper” (“ციცერო ფონდის დიდი სადისკუსიო სტატია”, No. 14/07, ოქტომბერი.</p> <p>ელექტრონული მისამართი: <a href="http://www.cicerofoundation.org/lectures/Papava_Old_or_%20New_Cold_Warx.pdf">http://www.cicerofoundation.org/lectures/Papava_Old_or_%20New_Cold_Warx.pdf</a>.</p> <p>(ინგლ. ენაზე).</p>		საფრანგეთი, პოლანდია	8

--	--	--	--	--	--

ანოტაციები

**რ. აბესაძე; ვ. ბურდული**

1. სტატიაში დასაბუთებულია გლობალიზაციის პირობებისადმი პოსტკომუნისტური ქვეყნის რეგიონების განვითარების კოორდინაციის მექანიზმის ადაპტაციის აუცილებლობა. განხილულია საქართველოში რეგიონული განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მდგომარეობა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ტრანსფორმაციული პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით დასაბუთებულია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიისა და ასეთი განვითარების სტიმულირების სრულყოფის მიმართულებები. შემოთავაზებულია საქართველოში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის გზები.

2. В статье обсуждаются проблемы неоиндустриального развития и формирования инновационной экономики в отдельной стране в условиях глобализации. Раскрывается современное понимание неоиндустриального развития в структурно-отраслевом аспекте, предложена и обоснована расширенная дефиниция инновационной экономики. Установлена взаимосвязь и степень совместимости между неоиндустриальным и инновационным типами развития в современных условиях.

**რ. ასათიანი**

Огромные системные преобразования, начавшиеся в Грузии в 90-х годах XX века, восстановление независимости и разрушение старой экономической системы создало совершенно новую эпоху в новейшей истории Грузии, хотя бессистемное проведение реформ привело к возникновению еще больших проблем, чем к их разрешению. Страна с трудностью прокладывает себе дорогу в процессе строительства современного цивилизованного государства. Укрепление независимости проходит болезненно, что связано как с эндогенными, так и экзогенными факторами. Не европейская, а все еще советская ориентация наложила большой отпечаток на экономическое развитие Грузии, оказала негативное влияние на экономику страны. Ни на одном этапе экономического реформирования правительство не оказалось готовым к координации экономических процессов происходящих в стране, к выработке рычагов управления адекватных принципам нового мирового порядка и защите национальной экономики от догм. Навязанная извне и необдуманная экономическая политика правительства привела к развалу экономики и поставила страну в тупик. Квазидемократия тормозит переход к рыночной экономике.

В работе с соответствующей аргументацией объясняются эти процессы, которые привели к следующему заключению: самую главную причину неудачи экономики Грузии надо искать в неправильной экономической политике. Ни одно правительство независимой Грузии в этом отношении не использовало опыта апробированного в мире. Сегодня в стране, несмотря на действие лаг фактора, выход из экономического кризиса, в первую очередь, возможен путем проведения экономической политики построенной в основном на кейнсианской теории, затем на «неоклассическом синтезе». Придание экономике социального ориентира оживит рынок, который находится в дремотном состоянии, даст высокий мультипликационный эффект, что является основой экономического развития Грузии.

**გ. ბერუღავა**

ამ ნაშრომის მიზანია გარდამავალ ეკონომიკებში ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაგვიანების ანალიზი. ნაშრომის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს ახალ ემპირიულ შეხედულებას გარდამავალ ეკონომიკებში ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონტრაქტული

ურთიერთობების არაფორმალური ნდობაზე დაფუძნებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან მიმართულებას გარდამავალ ეკონომიკებში.

**ვ. ბურღული; რ. აბესაძე**

1. В статье обсуждается современное понимание продовольственной безопасности страны. Показывается, что продовольственная безопасность должна рассматриваться как отдельный сегмент государственного регулирования и бизнес-координации (под последней понимаются современные формы взаимодействия и взаимосвязи агентов рынка продовольственной продукции). Предлагаются и обосновываются пути совершенствования государственного регулирования и бизнес-координации продовольственной безопасности.

